სახალხო გაგეთილი

ს უ რ ა თ ი ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

გაზეთის № 517

დამატების № 91

კვირა, 5 თებერვალი 1912 წ.

ა უ ზ ი ს წ ი ნ

ქანდაკება როდენისა.

ს. აბაშელი.

მზე

1. დილა

ფრთა-ნაცქვეტი დილის სიო ზღვის მუქ ნაპირს გაეყარა,
მთის ქეჩოზე მისვენებულ ნისლის მკრთალ გუნდს მიეპარა,
ფრთა შემოჰკრა, გააღვიძა, უცხო ჰიმნი შეჰსისინა
და ვით გედთა მწყობრი რაზმი წამოშალა, ააფრინა.

ცის კიდური ზღვის ტალღებში ვარდის წყლითა გაილესა.
ზღვა ათრთოლდა. მთვარე ჩაჰქრა. ღამემ ტყეში დაიკვნესა.
დილის ვარსკვლავს სხივი მოსწყდა,—ის ნიავმა მიწას
სტყორცნა;
მიწამ ზეცას გაუღიმა,—დაუბრუნა ვარსკვლავთ კოცნა.
ცივ სალ-კლდეზე დანადენი მთებში წყარო აწკრიალდა,
მას ხევ-ხევმა ბანი მოსცა, ნაძვ-ტირიფი აშრიალდა;
ცის მნათობთა მქრალი შუქი ცისკრის ამბორს ჩაექსოვა,
ირმის ნახტომს გაემწკრივა თეთრად პენტილ ღრუბელთ
გროვა.

შავ-ფრთებიან ღამის თავადს განთიადი გაეპარა,
ცის ლაჟვარდზე გაიშალა, მის ტალღებზე დაემყარა.
ჰა აპოლლომ ცეცხლის ეტლით ცა გაჰკვეთა,
გაარღვია,
და ქვეყანას მკერდ-მოქარგულს ოქროს წვიმა
დააფრქვია.

2. შუა-დღე.

ცეცხლის მახვილმა გააპო ეთერის ლურჯი გუმბათი,
ცის თააღზე ალის კვარცხლბეკზე მზე დაესვენა სხივ-მნათი.
შეჩერდა დენა ჟამისა, მისწყდა ხმა ფოთოლთ რხევისა,
მიწამ სცნო ზეცის სიუხვე, სრულ-ყოფა სხივთა-ფრქვევისა.
მზის ნაპერწკლებით დაჭრილნი ჩრდილნი უძრავის ხისანი,
ღრუბლის ნაწყვეტთა სახენი და ლანდნი მაღალ მთისანი,
უცნაურ შიშით პყრობილნი, მზის სახეს ემალებიან,
მაგრამ ალთ-შხეფით მსხვრეულნი, სხივებ-გაყრილნი ჰქრებიან.
თეთრად აინთო მთის თხემი, თოვლის გვირგვინით შემკული,
ვით სიყვარულის სამსხვერპლო, წმინდა კოკონით გზნებული,
და მიანათა მთა-გრეხილს ცით მოძსკდარ სხივთ-ჩანჩქერადა,
მწვანედ ფოთლილი მიდამო წარმტაცად ააფერადა.

ზღვამ ვერ გაუძლო ცხელ ისრებს, ზეცის მწველ თვალის
ცქერასა,
დაჰკარგა სულის სიმშვიდე, უმატა გულის ძგერასა.
ადრტვინდა სივრცე უსაზღვრო, დაიმტვრა სარკე ბროლისა,
ზვირთთ აედევნა ნელი ხმა ზღვაურ ნიავის ქროლისა.

3. საღამო.

მწუხრის ჟამის ცივმა სუნთქვამ ტყეს სიცივე აგრძნობინა,
მზის ალერსით დამთვრალ იას აუთრთოლა მყუდრო ბინა;
მიწის ფიქრი ცის ნაფიქრალს გარდააქცდა, ერთად შეწნა,
ფერი უკრთო მთის ლურჯ ზოლებს და შეჰსუდრა წყლის პირს
ძეწნა.

ცის დასავალს ოქროს ფერი ზღვამ ტალღებით ჩამოჰბანა,
წყალი ეთერს შეუერთა:—შესთხზა სივრცის ამოცანა.
შავად მოსილ აღმოსავლეთს მთვარემ ჩრდილი მოახია
და მარიხის წითელ საწოლს ვერცხლის ბადე მოახვია.
შორს ვარსკვლავი მოსწყდა სივრცეს, უფსკრულისკენ გაეშურა,
ცეცხლად იქცა და წინწკლებად ცის თეთრ ყვავილთ დაესხურა,
ძირს, უნისლო ზღვის სიღრმეში, გაიელვა ცეცხლის ხაზმა,—
ვერცხლის ციმციმს მიემატა ოქროს სხივთა აიაზმა.

მყუდროების ანგელოსმა ბინდის სიო მიაძინა,
მარმარილოდ გაიშალა ზღვის უჩრდილო ზვირთთა მინა.
ცა გაიხსნა. სხივი გაკრთა ცივ სამყაროს კიდე-პირად.
ლოცვად დადგა დედამიწა:—მსხვერპლს ამზადებს შესაწირად.

სატურნი. (ს. აბაშელი).

ვიცენტი ბლასკო იბანიესის ნოველლები

კურდღელი *).

— დიაღ,—მიჰმართა ყავახანაში შეგროვილ ამხანაგების წრეს მეგობარმა პერესმა,—ეს-ეს არის ამოვიკითხე ამ პატარა გაზეთში ერთის ჩემის მეგობრის გარდაცვალების ამბავი. ერთხელ მეტად არ მინახავს, მაგრამ ძლიერ ხშირად მაგონდება მაინც. ო, რა მეგობარი იყო...

გავეცანი ერთხელ ჩქარ მატარებელში, რომლითაც ვალენსიიდან მადრიდის მივდიოდი. პირველ კლასის განყოფილე-



† **პატრი დომინიკე მუღაშვილი**, რომელიც ვერაგულად მოჰკლეს ყაჩაღებმა 28 ოქტომბერს, სოფ. სკრაში (ქართლი).

*) კურდღელს ეძახიან რკინის გზის ულბილეთო მგზავრებს.

ჩინეთის რევოლუციონერთა პირველი კრება შანჰაიში.

ბაში ვიჯექ; ალბასეთეში გადახტა ერთად-ერთი ჩემი თანამგზავრი. წინა ღამე ცუდად გავატარე. ამიტომ, როდესაც დავინახე, რომ მარტოკა დავრჩი, გემოიანად გავიზმორე და სიამოვნებით გადავხედე მუთაქებს: მთელი განყოფილება მე დამრჩა! შემიძლიან თავისუფლად დავწვე! აი ეხლა კი გამოვიძინებ-მეთქი!

ჩამოვუშვი სანათის პატარა ფარდა, და განყოფილებაში სასიამოვნო ბინდი გამეფდა. გავეხვიე მოსასხამში, დავწექ გულაღმა და გავშალე ფეხები რაც შემეძლო, – ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ არავის არ შევაწუხებდი.

მატარებელი ლამანჩის უწყლო გადამწვარ ვაკეზე მიჰქროდა. სადგურები შორი-შორს იყო ერთმანეთისაგან; ორთქმავალი საშინელის სიჩქარით მიჰქროდა, და ჩემს განყოფილებას ისეთი ჭრიალი გაჰქონდა, თითქო ძველი ურემიაო. უშველებელ ხმაურობით გამოყრუებული ხან მარცხნით და ხან მარჯვნით გადავქანდებოდი ზურგზე; მუთაქების ფოჩები გიჟებსავით ხტოდა; საბარგე ყუთებს ერთი ცეკვა ჰქონდათ თაროს ბადეში, ფანჯრის მინებს ჩხარუნი გაჰქონდათ, ქვემოდან კი ძველის რკინის რახუნი ისმოდა: ჭრიალებდენ თვლები და გასაჩერებელ მანქანის ნაწილები. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, თვალები კარგა ლამაზად დამეხუჭა, და ამ ღრიანცელში ტკბილ სიმღერის ხმასაც კი ვარჩევდი; ძილში მეჩვენებოდა, თითქო ბალღები მაქანავებენ, თითქო ჩემის ბავშობის დრო დამიბრუნდა და ჩემი მოხუცი გამზდელი თავის ბოხის ხმით ნანას მეუბნება.

ამრიგად ჩამეძინა, თუმცა ძილშიაც მესმოდა ხმაურობა, რადგან მატარებელი გაუჩერებლივ მიჰქროდა.

სიცივე ვიგრძენ და ამან გამომაღვიძა; თითქო სახეში ცივი წყალი შემომასხესო, გავახილე თვალი. შემოსასვლელი კარი მოხურული იყო. მაგრამ ისევ ვიგრძენ ღამის ცივი სიო, რომელსაც მატარებლის გიჟური სიჩქარე უფრო აძლიერებდა. წამოვდექი და დავინახე, რომ მეორე კარი სრულიად ღიაა და შიგ შუაში ზის ვიღაც კაცი; ფეხები ქვეით ჩაუშვია საფეხურზე, მოკრუნჩხულა და ჩემსკენ მბრწყინავი თვალებით.

ინგლისელი სტუმრები რუსეთში.

— გაოცებულს არა მესმოდა რა. ძილისაგან ამერია აზრები. პირველ წამს რაღაც გამოუთქმელი შიში ვიგრძენ. ასე უეცრად მიმქროლავ მატარებელში გამჩდარი ეს ადამიანი ბავშობაში გაგონილ ზღაპრულ მოჩვენებას ჰგავდა.

მაგრამ მეორე წამსვე გამახსენდა რკინის გზაზე დაცემის ამბები, მატარებელში მკვლელობა, მთელის მატარებლის გაძარცვის ამბები, ათასნაირი ამგვარი ბოროტმოქმედება, რაც კი რამ წამეკითხა როდისმე; ხომ სრულებით მარტო ვარ და არავითარი საშუალება არა მაქვს როგორმე გავაგებინო ამ თხელ კედელს უკან მძინარე მგზავრებს რამე, ვფიქრობდი მე, ეს ადამიანი ნამდვილად მძარცველი უნდა იყოს.

თავის დაცვის ალღომ, ანუ, უკეთ, შიშმა გამამხეცა. მივყვანდი უცნობს, გადაგდება დავუპირე და ხელი ვკარი. გადავარდნაზე იყო და სასოწარკვეთილებით მოსჭიდა ხელი კარს; მე ვსცდილობდი გადაგდებას და კარში მაგრად ჩაკიდულ ხელის გაშვებინებას. ძალა ჩემსკენ იყო.

— ღვთის გულისათვის, სენიორიტო!—ჰკვნესოდა ყრუ ხმით,—სენიორიტო, ნუ იზამთ! პატიოსანი კაცი ვარ...

ისეთი მუდარა და ტანჯვა იხატებოდა მის სიტყვებში, რომ შემრცხვა ჩემის უგულობისა და მოვეშვი.

ისევ დაჯდა გასავალში დი თან ქშინავდა და კანკალებდ. მე კი სანათთან ვიდექი.

ეხლა კარგად ვხედავდი. პატარა სუსტი გლეხი კაცი იყო. საბრალოს დაკერებული, გაზინთული შალის მოკლე ტანსაცმელი ეცვა. შავი ქუდი და სახე თითქმის ერთი ფერისანი ჰქონდა. ამ მორუჟულ სახეზე მკაფიოდ გამოჰკრთოდა კეთილი თვალები და მოდიდო, ოდნავ მოყვითანო წინა კბილები, რომელიც გამოაჩინა, როდესაც მადლობის ნიშნად გაიღიმა.

ისე მოჰჩერებოდა, როგორც სიკვდილს გადარჩენილი ძაღლი. მაგრამ ამასთანავე გაშავებულ ხელებს ხან ჯიბეებში იყოფდა და ხან ქამარს უკან. ამ ხელების ფათურმა კინაღამ სინანული დამიბადა, ეგ რა სულელური გულმტკივნეულობა გამოვიჩინემეთქი და მინამ ის ეძებდა, მეც ჯიბისაკენ წავიღე ხელი და რევოლვერი მოვიმარჯვე. ყოველ შემთხვევისათვის თან მქონდა.

რაღაც ამოიღო ქამარ ქვეშიდან, მეც მივბაძე და სანახევროდ ამოვიღე ჯიბიდან რევოლვერი. მაგრამ ის რაც მის ხელში დავინახე, გაზინთული დაჭუჭკნული სქელი ქაღალდის ნაგლეჯი გამოდგა. დიდის კმაყოფილებით გამომიწოდა.

— ბილეთი მაქვს, სენიორიტო.

დავხედე და სიცილი ვერ შევიკავე.

— ეგ ხომ ძველი ბილეთია—დიდიხანია ვადა გასული აქვს... და მერე მაგ უვარგის ქაღალდის ნაგლეჯით გინდა დაამტკიცო, რომ ნება გაქვს მატარებლით იარო და მგზავრები დააფთხო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ტლანქ სიცრუის გამოაშკარავებით სახეზე სევდა გამოეხატა, თითქო შეეშინდა, ხელმეორედ არ მომინდომოს გადაგდებაო. სიბრალული ვიგრძენ და თანაც მინდოდა კეთილი და მხიარული სახე მეჩვენებინა, რათა დამემალა ჯერ კიდე შერჩენილი შიშის კვალი.

ადექ, შემოდი და კარი მოიხურე.

— არა, სენიორ,—სთქვა მან, შიგნით მოგზაურობის ნება არა მაქვს. იმისი მადლობელიც ვარ, რომ აქ ვზივარ: მე ხომ ფული არა მაქვს—გაჯიუტდა და დარჩა თავის დგილზე.

ახლო მივუჯექი; ჩემი მუხლები მის მხრების სიმაღლზე იყო. ღია კარებში ქარიშხალი უბერავდა. მატარებელი უდიდესის სისწრაფით მიჰქროდა. მწირ მინდორში კვალ და კვალ მოსდევდა მატარებელს ირიბი წითელი სინათლე, რომელსაც ჰფენდა ღია კარიდან სანათი, და ამ მოძრავ სინათლეზე მოსჩანდა მკრთალი ჩრდილი ჩემი და უცნობისა.

სატელეგრაფო ბოძები ყვითელ წერტილებსავით ელავდნენ ღამის სიბნელეში; ორთქლმავალიდან გადმოვარდნილი ნაპერწკლები კი დიდრონ ციცინათელასავით ბრჭყვიალებდა ხანდახან.

ჩემი თანამგზავრი მოუსვენრად იჯდა, თითქო უკვირდა, როგორ დამტოვეს ჩემს ადგილსაო. სიგარა მივეცი და ცოტ-ცოტა ალაპარაკდა.

ყოველ შაბათს მოგზაურობს თურმე ამნაირად. ალბასეტესთან ელის მატარებლის დაძვრას, შეხტება საფეხურზე, თუმცა ყოველთვის იმის შიშშია, ქვეშ არ მოჰყვეს, მიჰყვება გარეთა კედელს მინამ თავისუფალ განყოფილებას ნახავდეს, ხოლო სადგურთან მიახლოვების დროს მატარებლის გაჩერებამდე გადახტება. დაიძვრის თუ არა მატარებელი, ისევ შეხტება და ყოველ შემოხტომაზე იცვლის ადგილს, რომ თვალში არ მოხვდეს კონდუქტორებს, ამ ავ—სულთ, საწყალ ხალხის მტრებს.

— მერე სად მიხვალ?—ვკითხე მე.—მაგრიგად რად მოგზაურობ და განსაცდელში იგდებ თავს, ხომ ყოველ წამს უნდა ელოდე, რომ მატარებელს ქვეშ მოჰყვები და გაგსრესს?

მოგზაურობს იმისთვის, რომ კვირა დღე თავის ოჯახში გაატაროს. ალბასეტეში მუშაობს, ცოლი კი სხვა ქალაქში მსახურობს,—სიმშილმა დააშორა ერთმანეთს. უწინ ფეხით დადიოდა; მთელ ღამეს გზას უნდებოდა და დილით რომ მივიდოდა თავის ოჯახში, ისე დაღლილი იყო ხოლმე, რომ გრძნობა ეკარგებოდა თითქმის და აღარა ჰქონდა არავითარი სურვილი არც ცოლთან ლაპარაკისა და არც ბავშვებთან თამაშისა. ეხლა კი გამოიცადა და აღარაფრის არ ეშინიან; ეხლა სიამოვნებით მოგზაურობს მატარებლით. დაჰხედავს თავის ბავშვებს, მოიკრებს ძალას და მერე მუშაობს მთელ კვირას. სამ, შვილი ჰყავს: სულ უმცროსი ორის ტკაველისა არ იქნება ძიწიდან, მაგარამ მაინც კარგად, ჰცნობს მამას,—დაინახავს თუ არა, თავის პატარა ხელუნებს მის კისრისაკენ იწვდის.

— და არ შოგდის აზრად,—ვკითხე მე,—რომ ერთ-ერთ მაგნაირ მოგზაურობის დროს შენი ბავშვები უმამოდ დარჩებიან?

თანხმობის ნიშნად გაიღიმა. კარგად ესმის ეს „საქმე“. მატარებელი არ აშინებს, როდესაც აღვირ აშვებულ ცხენსავით გარბის, ქშინავს და გარშემო ნაპერწკლებს ისვრის; მარჯვეა და უშიშარი. ერთი ახტომა და მატარებლის საფეხურზეა; რაც შეეხება გადახტომას, რასაკვირველია, ადვილად შეიძლება, ფეხი წაჰკრას კუნძს ან ბოძს, მაგრამ ეგ არაფერია; საქმე ის არის მატარებელს ქვეშ არ მოჰყვეს.

მატარებლისა კი არ ეშინიან, ეშინიან იმათი, ვინც შიგ არის. პირველ კლასის განყოფილებას ათვალიერებს, რადგან აქ უფრო ხშირია თავისუფალი განყოფილება. რა არ გადახედია! ერთხელ ქალების განყოფილების კარი გააღო: ორმა იქ მყოფმა მონოზანმა ასტეხეს ყვირილი; არიქა, ქურდებიო. შეშინებული გადახტა მატარებლიდან და დანარჩენი გზა ფეხით გაიარა.

ორჯელ კინაღამ გადაადგეს, დღევანდელისა არ იყოს, მგზავრებმა, და ერთხელ, თავისუფალ განყოფილებას რომ ეძებდა, ერთ მგზავრს წააწყდა, რომელმაც ხმა ამოუღებლივ ჯოხი დაარტყა თავში და გადაადგო მატარებლიდან. იმ ღამეს თუ გადარჩებოდა აღარ ეგონა.

ამის თქმაზე სახე მოიბრუნა და მიჩვენა ჭრილობა.

ცუდად ეპყრობიან, მაგრამ არა ჩივის: იმ სენიორებს სრული უფლება აქვთ შიში განიცადონ და თავი დაიცვან. კარგად ესმის, რომ ღირსია ამისა და მეტისაც, მაგრამ რა ჰქნას, თუ კი ფული არ აქვს და თავის ბავშვების ნახვა კი უნდა?

მატარებელმა უკლო სიჩქარეს, თითქო სადგურს უახლოვდებაო. ჩემი მგზავრი შეშფოთდა და ადგომა დააპირა.

— დარჩი, ვუთხარი, მე,—შენ სადგურამდე ერთი გადასავალი ღაა, ბილეთს მე გიყიდი.

რასა ბძანებთ! არა, სენიორ,—მიპასუხა მან ცბიერის გულწრფელობით.

ბილეთის მოცემაზე კასსირი დამინახავს: ბევრჯელ დამდევნებიან, მაგრამ არც ერთხელ არ უნახვივართ სახეზე, მე კი სრულებით არა მსურს მაგგვარი ნაცნობობა. გზა კეთილი, სენიორიტო! თქვენისთანა კეთილი სული არ შემხვედრია მატარებელში.

ჩაეშვა საფეხურზე, ისკუპა და გაჰქრა წყვდიადში; უეჰველად წავიდა უფრო მყუდრო ადგილის საძებნელად, რათა უფრო მშვიდობიანად განეგრძო მოგზაურობა.

პატარა, ყრუ სადგურთან გავჩერდით ის-ის იყო დაწოლას ვაპირებდი, უეცრად მწყრალი ხმა მომესმა.

ეს კონდუქტორები იყვნენ, მუშები და ორი ჟანდარმი აქეთ-იქით გარბოდნენ, ვიღასაც დასდევდნენ დასაჭერად.

„აქეთ!.. გზა გადუჭერით!.. ორმა იქით, არ გაგვექცეს... აი მატარებელში შევიდა... დაიჭით“!

მართლადაც, ცოტა ხანს უკან, მატარებლის სახურავზე გაისმა აჩქარებული ფეხის ხმა,—ვიღასაც მისდევდნენ ზემოდ.

ნამდვილად ჩემი მეგობარი უნდა ყოფილიყო, რომელსაც უდარაჯებდნენ და რომელმაც, დაინახა მდევნელები თუ არა, სახურავზე დაიმალა.

სადგურის მხარის ფანჯარასთან ვიდექი და დავინახე, რომ მეზობელ ვაგონის სახურავიდან გადმოხტა კაცი იმ საოცარის სიმარჯვით, რომელსაც გასაჭირში თუ გამოიჩენს ადამიანი. პირქვე დაეცა მიწაზე, რამდენსამე ხანს მიფორთხავდა, თითქო ვერ გამართულიყო, ბოლოს მოჰკურცხლა რაც შეეძლო, და ჩქარა წყვდიადმა შთანთქა ის დიდი თეთრი ლაქა, რომლადაც მოსჩანდა ბნელაში მისი თეთრი შარვალი.

მატარებლის უფროსი ხელებს შლიდა მდევნელების წინ; ზოგი ამათგანი იცინოდა.

— ვინ იყო?—ვკითხე კონდუქტორს.

— ბოგანო, რომელმაც ჩვეულებად დაიდო უბილეთოდ მოგზაურობა, მიპასუხა მან წყრომის ხმით.—დიდი ხანია ვიცნობთ, კურდღელია, მაგრამ ან არაფრად ვარგივართ, ანა და დავიჭერთ როდისმე და სატუსაღოში უკრავთ თავს.

მას შემდეგ აღარ მინახავს საბრალო კურდღელი. ზამთარში ხშირად მაგონდებოდა საწყალი და მაშინ წარმოვიდგენდი ხოლმე რომელიმე სადგურის მახლობლად, როდესაც წვიმასა და თოვლში ელის ქარიშხალსავით მომქროლ მატარებელს, რომ ეცეს ისეთის გამეტებით, როგორც მეომარი მიდის ხოლმე სიმაგრის ასაღებად.

დღეს წავიკითხე, რომ ალბასეტესთან ლიანდაგზე იპოვეს მატარებლისაგან გასრესილ ადამიანის გვამი... ეს ის არის, ჩემი საბრალო კურდღელი. სხვა საბუთი აღარ არის საჭირო, რომ ამაში დარწმუნებული ვიყო: გული მეუბნება, რომ ის არის. ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანს“. იქნება სიმარჯვემ უღალატა უეცრად, ან იქნება ერთბაშად ვინმე მგზავრს თავს რომ წაადგა, უკანასკნელმა შეშინებულმა ვერ გამოიჩინა ჩემისთანა გულშემატკივრობა და გადაადგო.

ჰკითხეთ ღამეს, რა მოხდა მის სიბნელეში.

მას შემდეგ, რაც მას შევხვდი,—დააბოლოვა პერესმა ამბავი, ოთხი წელიწადია. ამ ხნის განმავლობაში ბევრი მიმოგზაურნია, და როდესაც ვხედავდი, რამდენი ხალხი მოგზაურობს მხოლოდ დროს გასატარებლად და ჟინის მოსაკლავად, ბევრჯელ გამხსენებია საწყალი, სილარიბის გამო ოჯახს მოწყვეტილი დღიური მუშა, რომელიც ბავშვების ნახვა და კოცნა რომ მოუნდება, ათასგვარი შიში და დევნა უნდა განეცადნა, როგორც მავნე მხეცს, და სიკვდილს კი გმირულის სიმშვიდით შეჰხვდებოდა.

ივ. ზურაბიშვილი.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.